ალექსანდრე დავითაშვილი[1]

მულტიდისციპლინური გამოცდილების სტუდენტებისათვის პოლიტიკის სწავლება ინოვაციური მეთოდებით

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა, ინოვაციური სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდის პრაქტიკაში დანერგვით სტუდენტების ჩართულობის გასაზრდელად. „დემოკრატიული მმართველობის პრინციპების“ სწავლება, (რომელიც ფაქტიურად პოლიტიკის შესავალს წარმოადგენს), როგორც სავალდებულო კურსი მულტიდისციპლინური გამოცდილების მქონე სტუდენტებისთვის, სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, გამოვცადე სწავლების რამდენიმე ალტერნატიული მეთოდი აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ. ყველაზე წარმატებული ე.წ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (PBL) აღმოჩნდა. განსაკუთრებით კი დიდ ჯგუფებთან სამუშაოდ. ეს მეთოდი ეხმარება სხვადასხვა გამოცდილებისა და ცოდნის მქონე სტუდენტებს ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარებაში. PBL არის სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც დავალების სახით აძლევს თავსატეხს ან პრობლემას, რომელიც ჯგუფმა დამოუკიდებლად უნდა ამოხსნას/გადაჭრას. კიდევ ერთი ეფექტიანი მეთოდი არის სიმულაცია, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების სწავლებისას. მაგალითისთვის: ჰობსის თამაში (ასევე ცნობილი როგორც კლასიკური რეალიზმის თამაში) და მოლაპარაკებები. სტუდენტების ჩართულობის გასაზრდელად შედეგიანი გამოდგა დოკუმენტური ფილმების, მხატვრული ლიტერატურისა და დისკუსიების გამართვა. აგრეთვე, იმ მწვავე და აქტუალურ საკითხებზე, რომელიც ჯგუფს აინტერესებს დებატების ჩატარებამ აჩვენა, რომ სტუდენტები უფრო მეტად არიან დაინტერესებული პოლიტიკით. განსაკუთრებით ინტერესს იჩენენ პოლიტიკური იდეოლოგიებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით. ალტერნატიული სწავლების მეთოდები სხვა დადებით თვისებებთან ერთად, სტუდენტების ობიექტურად შეფასების საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, PBL-ის შემთხვევაში, ლექტორი/ფასილიტატორი აქტიურად აკვირდება პროცესს და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უსვამს კითხვებს სტუდენტებს, რათა სწორი მიმართულება მისცეს. ობიექტური შეფასებისათვის, სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ დავალების მკაფიოდ განსაზღვრული კომპონენტებით შესრულებული ესე ან პროექტი. აღნიშნული ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდა და მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ „დემოკრატიული მმართველობის პრინციპები“ (პოლიტიკის შესავალი) დაემატოს ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას, როგორც არჩევითი კურსი.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკის შესავალი, სწავლა-სწავლების მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი პრაქტიკაში, თამაშები და სიმულაციები, მულტიდისციპლინური გამოცდილების სტუდენტები.

შესავალი

ანტიკური საბერძნეთიდან დაწყებული დღემდე, პოლიტიკა წარმოადგენდა კვლევისა და სწავლების საგანს და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების დარგი. უფრო მეტიც, პოლიტიკის შესავალი გახდა სავალდებულო საგანი სხვადასხვა სასწავლო მიმართულებებზე, რადგან ახალგაზრდებისა და სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკური კონცეფციების სწავლება როგორიც არის: მმართველობის ფორმები, პოლიტიკური სისტემები, არჩევნები, პოლიტიკური იდეოლოგიები და სხვ. პოლიტიკის სწავლება მულტიდისციპლინური გამოცდილების მქონე სტუდენტებისთვის, დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. გამომდინარე იქიდან, რომ კურსი სავალდებულოა, სტუდენტები ხანდახან ვერ აღიქვამენ მის მნიშვნელობას და მხოლოდ მოვალეობის მიზნით

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი, ელ-ფოსტა: sandavitashvili@gmail.com

ირჩევენ. აქედან გამომდინარეობს დაბალი ჩართულობა ლექციებზე, განსაკუთრებით კი, ტრადიციული 'ცოდნის გადაცემის' მეთოდით სწავლებისას. იმისათვის, რომ გაზრდილიყო სტუდენტთა ინტერესი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმატებით გამოვცადე პოლიტიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საგანი განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, ექსპერიმენტი სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაგრძელდა და ხანგრძლივვადიან პერიოდში გამოჩნდა, რომ ინოვაციური მეთოდებით სწავლებისას სტუდენტები უფრო მეტ ინტერესს იჩენენ კურსის მიმართ. ტრადიციული ლექციების საშუალებით, ლექტორს შეუძლია სტუდენტებს გადასცეს დიდი რაოდენობით ცოდნა, მაგრამ დიდ ჯგუფებში მსგავსი მიდგომა ნაკლებად ეფექტურია, რადგან, ყველა სტუდენტი ვერ ახერხებს აქტიურობას სასწავლო პროცესში.

სტატიის მიზანს წარმოადგენს დაგროვებული გამოცდილების ანალიზით საუკეთესო პრაქტიკების აღმოჩენა სასწავლო პროცესში მულტიდისციპლინური გამოცდილების მქონე სტუდენტების ჩართულობის გასაზრდელად, ასევე, მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ ინტერესის გასაჩენად. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა განუვითარდეთ სწავლის უნარი (ვისწავლოთ, როგორ ვისწავლოთ), აგრეთვე, უნდა შეძლონ სხვადასხვა დისციპლინაში გამოწვევების ანალიზი და ჰიპოთეზის შემუშავება (Kauffman, 2015, pp. 111-115). ჩემი გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც 'დემოკრატიული მმართველობის პრინციპების' ინფორმაციული ტექნოლოგიების, მენეჯმენტისა და ეკონომიკის სტუდენტებისთვის სწავლებისას დავაგროვე სხვადასხვა ქართულ უნივერსიტეტებში, ტრადიციული მეთოდები ნაკლებად ეფექტურია. შესაბამისად, დავიწყე ალტერნატიული სწავლა-სწავლების მეთოდების ძიება და ჯონ იშიამას წიგნში 'პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო სწავლა-სწავლების სახელმძღვანელოში' აღმოვაჩინე, რომ მესამე თავი სრულად მიძღვნილია სწავლების ტექნიკების საუკეთესო პრაქტიკისთვის. სასწავლო პროცესში გამოცდილი მეთოდებიდან აღმოვაჩინე, რომ ყველაზე ეფექტურია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (PBL), პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სწავლება ფილმებითა და მხატვრული ლიტერატურით, დისკუსიებით/დებატებით და სიმულაციებით/თამაშებით (Ishiyama, 2015). სტატიაში განხილული იქნება თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა რათა ვუპასუხოთ კითხვას: რომელი სწავლა-სწავლების მეთოდებია ყველაზე ეფექტური ინტერდისციპლინური ჯგუფებისთვის 'დემოკრატიული მმართველობის პრინციპების' (პოლიტიკის შესავალი) სასწავლებლად?

I. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (PBL)

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (PBL) წარმოადგენს ყველაზე ხშირად გამოყენებად სწავლების მოდელს ჩემი ლექციების დროს, რადგან ხელს უწყობს ინკლუზიურ სწავლებას, რომელიც მართალია თავდაპირველად სამედიცინო განათლების მისაღებად გამოიყენეს 1960-იან წლებში, მაგრამ მოგვიანებით დაინერგა სხვადასხვა დისციპლინებშიც, მათ შორის პოლიტიკის მეცნიერებაში. PBL შესაძლებლობას იძლევა სტუდენტებმა სიღრმისეული ცოდნა მიიღონ დამოუკიდებლად და ამავდროულად გაიზარდოს მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს ე.წ. 'ვისწავლოთ როგორ ვისწავლოთ' უნარის გაუმჯობესებას. შესაბამისად, PBL აღმოჩნდა ყველაზე ეფექტიანი მეთოდი ინტერდისციპლინურ ჯგუფებთან მუშაობისას.

PBL-ის მთავარ ასპექტს წარმოადგენს ჯგუფური მუშაობა, რაც ზემოთჩამოთვლილი უპირატესობების გარდა, ხელს უწყობს კომუნიკაციის უნარის განვითარებას (Ishiyama, 2015). უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიუხედავად ჯგუფური დავალებისა, ფასილიტატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე ინდივიდუალურ აქტივობებსაც, რადგან აღნიშნული მეთოდით სწავლების ყველაზე მნიშვნელოვან და საბოლოო მიზანს წარმოადგენს დამოუკიდებელი მკვლევარების მომზადება, რომლებიც განსხვავებულ გარემოში მუშაობას თავს გაართმევენ (Hussin, 2019, p. 14). PBL-ის სტრუქტურა მდგომარეობს შემდგომში: 10-15 წევრიან ჯგუფებში სტუდენტები ცდილობენ ლექტორის მიერ დასახული პრობლემის გადაჭრას/თავსატეხის ამოხსნას და ის უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად პრინციპს დავალების წარმატებით შესასრულებლად: უნდა შეიცავდეს პრობლემაზე დაფუძნებულ პროცესს ცოდნის შესაძენად; 2) უნდა იყოს მსწავლელზე ორიენტირებული, 3) უნდა იყოს კოლაბორაციული (Ishiyama, 2015, pp. 369-372). იმისათვის, რომ აღნიშნული პრინციპები წარმატებით განხორციელდეს, მნიშვნელოვანია კარგად ჩამოყალიბებული დავალება. მაგალითისთვის, ინტერდისციპლინურ ჯგუფთან მუშაობისას კარგად სტრუქტურირებული დავალება უფრო ეფექტიანს ხდის პროცესს. მისი შემუშავება ლექტორისთვის გამოწვევას წარმოადგენს, მაგრამ დროთა განმავლობაში, სტუდენტების ჩართულობასთან ერთად დავალებებიც უმჯობესდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ, კარგად ჩამოყალიბებული

პრობლემა უწყობს ხელს სტუდენტების აქტიურობის გაზრდას. შესაბამისად, იგი საინტერესო უნდა იყოს ჯგუფის ყოველი წევრისათვის. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია ლექტორი/ფასილიტატორი კარგად იცნობდეს სტუდენტების ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცოდნასა და ინტერესებს. კარგი დავალება არ უნდა მიუთითებდეს სტუდენტებს იკვლიონ ერთი სწორი პასუხი. პირიქით, რაც უფრო მრავალფეროვან შედეგებს მიიღებენ სხვადასხვა ჯგუფები, მით უფრო წარმატებულია PBL მეთოდი. პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სწავლა-სწავლების სახელმძღვანელოს მიხედვით, არსებობს კარგი დავალების სამი მახასიათებელი: 1) ხელი უნდა შეუწყოს განხილვას, აღწერის ნაცვლად 2) ხელმძღვანელობს ჯგუფს მხოლოდ საწყის ეტაპზე; და 3) კვლევისთვის უზრუნველყოფს გარკვეული ტიპის ჩარჩოს (Ishiyama, 2015, pp. 372-376).

აუდიტორიაში მუშაობისას, სტუდენტებმა უნდა განიხილონ დავალება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, მაგრამ არსებობს მაასტრიხტის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შვიდ საფეხურიანი გზამკვლევი, რომელიც დაეხმარებათ სტუდენტებს დისკუსიის ფასილიტაციაში, კერძოდ, იგი სტუდენტებს მოუწოდებს შემდეგს:

1. განიხილეთ საქმე და დარწმუნდით, რომ ყველას ესმის პრობლემა
2. განსაზღვრეთ, ჩამოაყალიბეთ და დაადგინეთ კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა საჭიროა დავალების უკეთესად აღსაქმელად
3. გამართეთ დისკუსია იმის შესახებ, თუ უკვე რა იცის ჯგუფმა და მოახდინეთ პოტენციური გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება
4. გაანალიზეთ და დაასტრუქტურეთ „ბრეინშტორმინგის“ სესიის შედეგები
5. ჩამოაყალიბეთ სასწავლო მიზნები იმ ცოდნისთვის, რომელიც ჯერ კიდევ აკლია ჯგუფს
6. წარმართეთ დამოუკიდებლად სწავლის პროცესი, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში: წაიკითხეთ სტატიები ან წიგნები, მიჰყევით პრაქტიკულ გაკვეთილებს ან დაესწარით ლექციებს საჭირო ცოდნის მისაღებად
7. განიხილეთ დასკვნები (ეს ეტაპი იმართება მომდევნო სესიაზე) (Maastricht University, n.d.)

რაც შეეხება PBL-ის ციკლს, იგი მდგომარეობს შემდგომში (Maurer, 2015, p. 371):



PBL-ის პრაქტიკაში განხორციელებას დიდი დრო და ენერგია სჭირდება, მაგრამ შედეგიანია, განსაკუთრებით, ინტერდისციპლინური გამოცდილების მქონე სტუდენტებთან მუშაობისას. იმისათვის, რომ აღნიშნული მოდელი ეფექტიანად დაინერგოს, სტუდენტებს გაცნობისას ყოველთვის ვთხოვ სახელთან და გვართან ერთად ისაუბრონ მათ განათლებასა და ინტერესებზე, რომლებიც შეიძლება მოერგოს დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს. ამ გზით, ინფორმაცია მაქვს სტუდენტების საერთო ცოდნისა და გამოცდილების, ასევე, ინტერესების შესახებ. თუ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია საკმარისი არ არის, აუცილებელია დამაზუსტებელი კითხვების დასმა. კურსის პირველი ლექცია არის პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა. შესაბამისად, ლექციის ახსნამდე ვეკითხები სტუდენტებს მათ რა იციან პოლიტიკის შესახებ, რაც საშუალებას მაძლევს გავზომო მათი ცოდნა. აღნიშნულ პროცესს წარვმართავ ე.წ. „სოკრატეს მეთოდით“, რომელიც საშუალებას მაძლევს დამატებითი ინფორმაცია შევაგროვო დავალების შესამუშავებლად. სოკრატეს მეთოდის უპირატესობა ტრადიციულ „ცოდნის გადაცემასთან“ შედარებით გვაძლევს უპირატესობას, რომ სტუდენტებს მივუთითოთ გზა, რომელსაც თავად გაივლიან სწორი პასუხის გასაცემად. ეს არის მეტწილად დიალოგი სტუდენტსა და ლექტორს შორის, მაგრამ მნიშვნელოვანია მართებული კითხვების დასმა, სასურველი შედეგის მისაღწევად (Trepanier, 2018, pp. 1-2).

მას შემდეგ, რაც შევაგროვებთ ინფორმაციას, სტუდენტების გამოცდილებისა და განათლების შესახებ, იწყება დავალების წარდგენა და შესაბამისად, PBL-ის ციკლი. სტატიის მომდევნო ნაწილი განიხილავს ამ მეთოდის წარმატებით შესრულების ფაზებს.

PBL დავალების მაგალითი 1: საარჩევნო პროცედურის შესწავლა

წახმოიდგინეთ, ხომ თქვენ ხახთ პოლიტიკუხი პახტიის წახმომადგენელი და მომდევნო საპახლამენტო ახჩევნები გიახლოვდებათ. ცენტხალუხმა საახჩევნო კომისიამ გამოაცხადა თახიღი და თქვენს დავალებას წახმოადგენს მოამზადოთ საახჩევნო სტხატეგია პახტიისათვის. ხა ახის თქვენი გეგმა? ვის ხვდებით და ხოდის?

1. დავალება და ფასილიტაცია

მას შემდეგ, რაც ჯგუფები დაკომპლექტდება, ფასილიტატორი ხსნის დავალებას და ამოწმებს სტუდენტების ცოდნას (ამ შემთხვევაში არჩევნების შესახებ) და აძლევს ჯგუფებს დროს საკითხის განსახილველად. დისკუსიის პროცესში, ლექტორის როლი არის ყურადღების მიქცევა და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ჩარევა. პირველი სესიის დროს უმჯობესია პროაქტიული ფასილიტაცია, რადგან ჯგუფის წევრები ჯერ კიდევ არ იცნობენ ერთმანეთს და შესაძლოა არ ჰქონდეთ ჯგუფში მუშაობის გამოცდილება. ამ ეტაპზე შესაძლებელია ჯგუფის წევრებთან ხშირად მისვლა და კითხვების დასმა, რომ დავრწმუნდეთ პროცესის მართებულ მიმდინარეობაში. მომდევნო სავარჯიშოების დროს მიზანშეწონილია, თავი ავარიდოთ ხელოვნურად პროცესში ჩარევას და მხოლოდ იმ შემთხვევაში დავეხმაროთ სტუდენტებს, თუ ისინი ძალიან აცდნენ დავალების თემატიკას.

2. წინა სადისკუსიო კითხვები

აღნიშნულ ეტაპზე სტუდენტები განიხილავენ არა მხოლოდ დავალებას, არამედ ამოწმებენ ჯგუფის ცოდნას დავალების შესახებ და შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას დავალების შესასრულებლად. ამისათვის საჭიროა უპასუხონ ორ ძირითად კითხვას: უკვე რა ვიცით? და რა უნდა ვიცოდეთ პრობლემის გადასაჭრელად? (Maurer, 2015, p. 371). ამ დროს, სტუდენტები გადიან მაასტრიხტის უნივერსიტეტის გზამკვლევის პირველ ხუთ საფეხურს: პრობლემის გაგება, კითხვების იდენტიფიცირება, „გონებრივი შტურმი“, „გონებრივი შტურმის“ შედეგების სტრუქტურირება და სასწავლო მიზნების/ამოცანების ფორმულირება. ფასილიტატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს ჯგუფში როლების გადანაწილებას. აუცილებელია ჯგუფში ერთი სტუდენტი იყოს ლიდერი, რომელიც მედიაციას უწევს პროცესს და ხელს უწყობს სხვა წევრების ეფექტიან ჩართულობას, აჯამებს დისკუსიის შედეგებს, ანაწილებს მოვალეობებს და წარმოადგენს საბოლოო კვლევას შემდეგ სესიაზე. კიდევ ერთი პოზიცია არის მდივანი,

რომლის მოვალეობას წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვება, დისკუსიის რეპორტის მომზადება და ვიზუალური პერსპექტივის ჩვენება ჯგუფის წევრებისთვის. დამატებით, როგორც სხვა წევრები მონაწილეობას იღებს განხილვაში. (Maurer, 2015, p. 372). მას შემდეგ, რაც ეს ეტაპი დასრულდება, სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ინდივიდუალური ან შიდა-ჯგუფური დავალებები, რომელიც უნდა წარმოადგინონ მომდევნო ლექციაზე.

3. თვითშესწავლა

სტუდენტებს აქვთ ერთი კვირა ინდივიდუალური სამუშაოების შესასრულებლად. ამ ეტაპზე, ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. ფასილიტატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ყველა სტუდენტი აღჭურვილია შესაბამისი უნარებით, რომ თავი გაართვას დამოუკიდებლად მუშაობის პროცესს. გასათვალისწინებელია, რომ სწავლის ყველაზე დიდი ნაწილი მიმდინარეობს აუდიტორიის გარეთ, ინდივიდუალურად, სწორედ, ამ ფაზის დროს.

4. პოსტ-დისკუსია

პოსტ-დისკუსიის დროს ლიდერი აერთიანებს შეგროვებულ ინფორმაციას ერთი სრული მაქსიმუმ სამ გვერდიანი რეპორტის სახით. საკითხი და მსჯელობა აუცილებლად რელევანტური უნდა იყოს და პასუხობდეს პრობლემას/თავსატეხს.

5. ასახვა

PBL-ის ციკლი სრულდება ასახვით, რომელიც აფასებს სასწავლო პროცესს, პრობლემებსა და ცვლილებებს, რომელიც საჭიროა რეპორტის სრულყოფისთვის. ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას და აცნობს აუდიტორიას მათ აქტივობებსა და აღმოჩენებს, რომელიც 10-15 წუთი გრძელდება.

შეფასება PBL მეთოდში

საბოლოო ეტაპი, რა თქმა უნდა, არის შეფასება. ამ დროს ფასილიტატორი/ლექტორი სტუდენტებს აძლევს რეკომენდაციას როგორ გააუმჯობესონ სამუშაო პროცესი და წერს ქულებს. მაურერის მიხედვით, ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებას: „დასაწყისში, სტუდენტებს ვთხოვთ თვითშეფასებას, სადაც ფასილიტატორს უხსნიან რა ძლიერი და სუსტი მხარე ჰქონდა მათ ჯგუფს სამუშაო პროცესში. სასწავლო კურსის შუაში ან ბოლოს, სტუდენტები იმეორებენ PBL მეთოდს და შესაძლებლობა აქვთ აღმოფხვრან სისუსტეები“ (Maurer, 2015, pp. 377-378).

ამის შემდეგ ხდება სტუდენტების ინდივიდუალური შეფასება, რომელიც წარმოადგენს დებატების საგანს PBL მეთოდში. ტრადიციული შეფასება დამოკიდებულია სტუდენტების ინდივიდუალურ პერფორმანსზე სხვადასხვა გზით, ეს იქნება გამოკითხვა სემინარზე, ესსე, რეფერატი და სხვ. იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტები ჯგუფურად მუშაობენ, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მათი სამართლიანად შეფასება, შესაბამისად, ფასილიტატორი აქტიურად უნდა აკვირდებოდეს მუშაობას აუდიტორიაში. აგრეთვე, კითხვებს უსვამს როგორც სპიკერს, ისე ჯგუფის სხვა წევრებს და ამოწმებს მათ ჩართულობას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ სწორი შეფასების დასაწერად, სტუდენტებმა უნდა ჩამოწერონ ვინ რა საკითხზე მუშაობდა, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ სტუდენტების მიერ შესრულებული დავალების ხარისხი ინდივიდუალურად და არა ჯგუფურად.

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, აღნიშნული სწავლების მეთოდი, ასევე, წარმატებული აღმოჩნდა დიდ ჯგუფებთან (50 სტუდენტი) მუშაობისას. თუმცა, მიუხედავად პოზიტიური გამოცდილებისა, მთელი კურსის PBL -ით ჩატარება საკმარისი არ არის. შესაბამისად სხვა მეთოდების ჩართვაც მნიშვნელოვანია, რათა სტუდენტებს PBL მეთოდი რუტინად არ ექცეთ და შეინარჩუნონ ინტერესი.

II. თამაშები და მოდელირება

დემოკრატიული მმართველობის პრინციპების სილაბუსი შეიცავს ისეთ თეორიულ კონცეფციებს როგორიც არის: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური იდეოლოგიები, პოლიტიკური სისტემები, დემოკრატიის ფორმები და სხვ. შესაბამისად, არის საკითხები, რომლებსაც PBL-ზე უკეთესად სხვა

სწავლა-სწავლების მეთოდები დაფარავს. თამაშები და მოდელირება ეფექტური მეთოდებია განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ახსნისას, რადგან ეხმარება სტუდენტებს თავად გამოსცადონ სხვადასხვა თეორია სხვადასხვა გარემოში.

ვიქტორ ასალი საუბრობს ორ ძირითად იდეაზე ეფექტიანი მოდელირების განსახორციელებლად: „პირველ რიგში, შესაძლებელია იმ სამყაროს მოდელირება, რაც ამარტივებს წესებს. მეორე, ამ წესებს შეიძლება ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების გარკვეული არქიტექტურის, ან პიროვნული ან ინსტიტუციური მახასიათებლების, ან მართლაც შემთხვევითი მოვლენების ფორმა.“

მოდელირების უპირატესობად ასალი შესაძლებლობებს მიიჩნევს. მისი აზრით, აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გამოიკვლიონ და აღმოაჩინონ საინტერესო საკითხები. დამატებითი არგუმენტი არის ის, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ზოგადი ცოდნა და გამოცდილება მოლაპარაკებების დინამიკის შესახებ. და ბოლოს, მოდელირება ხელს უწყობს ურთიერთობების გაუმჯობესებას ჯგუფში. ზოგადად, ეს მეთოდი ეხმარება სტუდენტებს, მიიღონ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება (Asal, 2015, pp. 305-306).

იქიდან გამომდინარე, რომ დემოკრატიული მმართველობის პრინციპები კომპლექსური საგანია, ვცდილობ, საბაზისო კონცეფციები და თეორიები ავუხსნა სტუდენტებს. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების ახსნისას, ორ ძირითად თეორიაზე ვაკეთებ არჩევანს: რეალიზმი და ლიბერალიზმი (იდეალიზმი), იმის ნაცვლად რომ ყველა თეორია განვიხილოთ სიღრმისეულად, რაც გაართულებს საერთაშორისო ურთიერთობების პარადიგმის აღქმას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ისედაც სხვადასხვა შეთქმულების თეორიის გავლენის ქვეშაა. არსებობს მოდელირებისა და თამაშების მრავალი ვერსია, მაგრამ პრაქტიკამ მაჩვენა, რომ ყველაზე მეტ ინტერესს სტუდენტები იჩენენ ორი თამაშის მიმართ, რომლებსაც კარგად აღწერს ვიქტორ ასალი. პირველი არის, ‘კლასიკური რეალიზმის თამაში’ (ასევე ცნობილი როგორც ჰობსის თამაში), რომელსაც რეალიზმის ასახსნელად ვიყენებ და მეორე, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს მოდელირება, როგორც თანამშრომლობისა და შეთანხმების საშუალებით გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროკავშირში.

აუდიტორიის გასახურებლად და ყინულის გასალღობად სტუდენტებს ვყოფ ორ ჯგუფად და ვთხოვ ყველა სკამი აუდიტორიის ცენტრში შეაგროვონ, შემდეგ ვაძლევ დავალებას ყველა სკამი გადაიტანონ ერთ კედელთან. ჩვეულებრივ, სტუდენტები იწყებენ ერთმანეთისთვის სკამების მოპარვას ან წართმევას, რამდენიმე წუთიანი კამათის შემდეგ, ვაჩერებ მათ და ვუხსნი დავალების რეალურ არსს. ეს არის თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ჯგუფებს წარმოადგენენ, მათ საერთო მიზანი აქვთ და მნიშვნელოვანია დავალების სწორი ინტერპრეტაცია. ამის შემდეგ, სტუდენტები უფრო ყურადღებით აკვირდებიან თითოეულ სიტყვას და კონცენტრირებულნი არიან დავალების შინაარსის გაგებაზე.

შემდეგი არის კლასიკური რეალიზმის თამაში და ამისათვის საჭიროა თან გქონდეთ ორი შეკვრა სათამაშო კარტი. თითოეული სტუდენტი იღებს ერთ კარტს და ერთმანეთს ეჯიბრებიან „ჯეირანის“ თამაშში. წაგებული მოგებულს აძლევს კარტს და იღებს ახალს. ეს გრძელდება მანამდე, სანამ არ დასრულდება კარტი და ამის შემდეგ იწყება თამაში გავარდნაზე. თამაში გრძელდება ფინალური ორი მონაწილის დარჩენამდე. ამ დროს, ფასილიტატორი აჩერებს თამაშს და სვავს კითხვას: რა იყო თქვენი მოტივაცია თამაშის დროს? ძირითადად ვიღებთ ორ პასუხს: მოგება და გადარჩენა. შემდეგ ფასილიტატორი კიდევ ერთხელ ეკითხება: თქვენი აზრით რა არის ამ თამაშის მიზანი? და განიხილავს აღნიშნულ საკითხს სტუდენტებთან ერთად. რომლის შემდეგ, აძლევს დამატებით დავალებას წაიკითხონ ჰობსის ლევიათანის მეცამეტე თავი: კაცობრიობის ბუნებრივი მდგომარეობა. მომდევნო სესიაზე, ფასილიტატორი/ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს ბრძოლის სამ ძირითად პრინციპს სტუდენტებთან ერთად: კონკურენცია, განსხვავება და დიდება. ეს თამაში ასწავლის სტუდენტებს, რომ ბრძოლის თავიდან არიდება მათივე საუკეთესო ინტერესებშია, მაგრამ ყოველმა მათგანმა საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო და უსადაგებს მათ ქცევას ჰობსის მიერ ახსნილ მოტივებს.

მომდევნო დავალება არის მოლაპარაკებები ჰუმანიტარული კრიზისის გადაჭრის შესახებ ჰიპოთეტურ კონტინენტსა და სახელმწიფოებში. თითოეული სტუდენტი წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყანას, საკუთარი ინტერესებით ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოში. დამატებით, პროცესში ჩართულნი არიან: ჩინეთი, რუსეთი და აშშ, რომლებსაც აგრეთვე აქვთ გარკვეული ინტერესები და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენა. აღნიშნული დავალების მიზანს წარმოადგენს აუხსნას სტუდენტებს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლის დაცვა და კომპრომისის მეშვეობით საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება ფორმალური და არაფორმალური მოლაპარაკებებისას. დავალება, აგრეთვე, ასწავლის სტუდენტებს, როგორ იქმნება ალიანსები და სტრატეგიული

პარტნიორობა საერთაშორისო ურთიერთობებში. მოდელირება ორიენტირებული არის განსაზღვროს ეროვნული ინტერესები და დაამყარონ სტრატეგიული კავშირები საერთო ინტერესების მქონე სახელმწიფოებთან.

სტუდენტების საბოლოო შეფასება ხდება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების,- რეალიზმისა და იდეალიზმის შედარებითი ანალიზის შესახებ მომზადებული ესეებით.

III. სწავლების სხვა სასარგებლო მეთოდები

მულტიდისციპლინურ ჯგუფთან მუშაობისას მნიშვნელოვანია საინტერესო გარემოს შექმნა. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტების უმრავლესობა არ განიხილავს მომავალში პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით სწავლას და დასაქმებას, მხოლოდ პოლიტიკური კონცეფციების ახსნა საკმარისი არ არის. მათ სჭირდებათ პრაქტიკული მაგალითები, რომ უკეთესად აღიქვან და დაუკავშირონ თეორია პრაქტიკას. ტოტალიტარული რეჟიმების შესახებ სალექციო მასალასთან ერთად, სტუდენტები ინტერესს იჩენენ დოკუმენტური ფილმების მიმართ. შესაბამისად, შერჩეული მაქვს Netflix-ის დოკუმენტური მინისერიალი: „როგორ გავხდე ტირანი“. თითოეული ეპიზოდი დაახლოებით 30 წუთიანია და საშუალება გვაქვს ერთ ლექციაზე ორ სერიას ვუყუროთ. უმეტეს შემთხვევაში ვირჩევ შემდეგ ეპიზოდებს: 1. ძალაუფლების ხელში ჩაგდება (ადოლფ ჰიტლერის შესახებ) და 4. გააკონტროლე სიმართლე (სტალინის შესახებ). დავალება არის წაიკითხონ ჯორჯ ორუელის 1984 და განიხილონ მომდევნო სემინარზე. ბოლოს, სტუდენტები წერენ ესეს ტოტალიტარული რეჟიმების შესახებ, რომელიც მათთვის საინტერესოა. მნიშვნელოვანია, რომ ესე იყო ანალიტიკური და არა დესკრიფციული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავი სილაბუსში არის სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები. უპირველეს ყოვლისა სტუდენტებს ვაკითხებ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავს: ადამიანის ძირითადი უფლებები. უმჯობესია მისი ერთად წაკითხვა, რადგან საშუალება გვაქვს პარალელურად განვიხილოთ და დავეხმარო გაურკვეველი ნაწილების ინტერპრეტაციაში. აღნიშნულ საკითხზე დებატები ყოველთვის საინტერესო გამოდის და სტუდენტების ჩართულობაც მაღალია. მაგალითისათვის ლექტორს მოაქვს საინტერესო კაზუსი. საკუთარი გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ მე უპირატესობას ვანიჭებ ე.წ. ‘სამაშველო ნავის საქმეს’. ეს არის ნამდვილი ამბავი ჩაძირული გემის ოთხ გადარჩენილ მეზღვაურზე (THE QUEEN v. DUDLEY AND STEPHENS., 1884). უმეტეს შემთხვევაში წარმატებული დებატებისთვის, მნიშვნელოვანია სტუდენტების პოზიციების გაგება და მათი ჯგუფებად გადანაწილება. აუცილებელია მათთვის გარკვეული დროის მიცემა, რათა მოამზადონ არგუმენტები და დაასახელონ სპიკერი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ვინ უპასუხებს ოპონენტი ჯგუფის არგუმენტს. ტრადიციულად, დებატების შემდეგ სტუდენტები წერენ ესეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საინტერესო ქეისის შესახებ.

დასკვნა

პოლიტიკის შესავალის სწავლება მულტიდისციპლინური გამოცდილების სტუდენტებისთვის სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ სწორი მიდგომით შესაძლებელია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა. არსებობს სწავლა-სწავლების მრავალი ინოვაციური მეთოდი და პრაქტიკაში რამდენიმე მათგანი გამოვცადე საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბიზნესისა და ეკონომიკის სტუდენტებთან. ჩემ შემთხვევაში ყველაზე წარმატებული კი PBL მეთოდი აღმოჩნდა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, განსაკუთრებით დიდ ჯგუფებთან მუშაობისას. ეს არის მსწავლელზე ორიენტირებული მეთოდი, რომლის დროსაც სტუდენტები თავად ცდილობენ ცოდნის მიღებას, ლექტორი კი ფასილიტაციას უწევს პროცესს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას კი წარმოადგენს სტუდენტებისთვის ინდივიდუალურად და ჯგუფში მუშაობის გამოცდილების მიღება.

PBL-ს ვიყენებ ძირითადი სწავლების მეთოდად, მაგრამ საკმარისი არა არის, რომ კურსი სრულად დაფაროს. შესაბამისად, მოდელირება და თამაშები, არის დამატებითი ინსტრუმენტი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ასახსნელად. ყველაზე ხშირად კი კლასიკური რეალიზმის თამაშსა და ევროკავშირის მოდელირებას ვიყენებ. თითოეული მათგანი შეესაბამება რეალიზმისა და ლიბერალიზმის თეორიებს.

სილაბუსი არ გვაძლევს საშუალებას, რომ ვიკვლიოთ სხვადასხვა ტოტალიტარული რეჟიმი და ამავდროულად, მხოლოდ თეორიული ჩარჩოს ახსნა საკმარისი არ არის. აღნიშნულის კომპენსირება შესაძლებელია დოკუმენტური ფილმებისა და მხატვრული ლიტერატურის საშუალებით. ბოლოს სტუდენტები წერენ ანალიტიკურ ესეს რეჟიმების შესახებ.

სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების ახსნისას, სტუდენტებს ვაცნობ თავიანთ უფლებებს და ვხსნი, რას ნიშნავს თითოეული უფლება, რომელიც კონსტიტუციით აქვს გარანტირებული საქართველოს მოქალაქეს. შემდეგ ვაწყობთ დებატებს და ბოლოს, ტრადიციულად წერენ ესეს ადამიანის უფლებების შესახებ.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ალტერნატიული და ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდები, ტრადიციულ სწავლებასთან შედარებით უფრო ეფექტურია, განსაკუთრებით კი, იმ შემთხვევაში თუ მუშაობა გვიწევს მულტიდისციპლინური გამოცდილების მქონე ჯგუფთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ლექტორმა იცოდეს სტუდენტების განათლებისა და ინტერესების შესახებ. ეს გვეხმარება დავალებების სწორად შერჩევაში. ობიექტური შეფასებისათვის კი აუცილებელია აქტიური დაკვირვება ფასილიტაციის პროცესში. დამატებით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ქულების გადანაწილების კონკრეტული კრიტერიუმები.

ჩამოთვლილი მეთოდები სთავაზობს სტუდენტებს გაიუმჯობესონ უნარი 'როგორ ვისწავლოთ' და აითვისონ კვლევის მეთოდოლოგიები პრაქტიკაში, რაც დაეხმარება არა მხოლოდ პოლიტიკის მეცნიერების შესწავლისას, არამედ ნებისმიერი სხვა სფეროში; ხელს შეუწყობს წერის უნარების განვითარებაში, ასევე, ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობის გამოცდილებას და ამავდროულად დაეხმარება, დამოუკიდებლად მიიღონ სიღრმისეული ცოდნა სხვადასხვა საკითხების შესახებ.

ევროპული კვლევების მულტიდისციპლინური შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის სტუდენტებმა ისწავლონ საკვანძო პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების კონცეფციები. თეორიული ცოდნა დაეხმარება მათ მარტივად აითვისონ სხვა კურსები, მაგალითად როგორიც არის: ევროპის პოლიტიკა, ევროკავშირში ინტეგრაცია, ევროკავშირის ინსტიტუციები, პოლიტიკური იდეოლოგიები და თეორიები, სამართლის თეორია, ფილოსოფია და ა.შ. შესაბამისად, რეკომენდირებულია პოლიტიკის შესავალი დაემატოს მინიმუმ როგორც არჩევითი საგანი ევროპული კვლევების საბაკალავრო პროგრამას. ლექტორი კი მზად უნდა იყოს, რომ შესაძლოა ყველა სტუდენტი არ იყოს დაინტერესებული ამ საკითხებით და ინტერესის გასაღვივებლად შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდი. მათ შორის: PBL, მოდელირება, თამაშები, დებატები და სხვა ზეოთ მოყვანილი მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა

Asal, V. (2005). Playing Games with International Relations. *International Studies Perspectives*, 359–373.

Asal, V. (2015). War, peace and everything in between: simulations in international relations. In J. Ishiyama, *Handbook on Teaching and Learning in Political Science and International Relations* (pp. 304-314). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Constitution of Georgia. (1995).

Corey, P. (2018). The Socratic Method in Today's University. In *The Socratic Method Today Student-Centered and Transformative Teaching in Political Science* (pp. 138-151). New York: Taylor & Francis Group.

Hussin, W. N. (2019, December 28). Problem Based Learning t o Enhance St udents Critical Thinking Skill via Online Tools. *Canadian Center of Science and Education*, 14-23.

Ishiyama, J. (2015). *Handbook on Teaching and Learning in Political Science and International Relations.* Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Kauffman, B. (2015). Multidisciplinary approaches to teaching political science. In J. Ishiyama, *Handbook on Teaching and Learning in Political Science and International Relations* (pp. 111-120). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Maastricht University. (n.d.). *Web page of Maastricht University*. Retrieved from Maastricht University: https://www.maastrichtuniversity.nl/education/why-um/problem-based-learning

Maurer, H. (2015). Best practices in Problem-Based Learning. In J. Ishiyama, *Teaching and learning in political science and international relations* (pp. 369-383). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

THE QUEEN v. DUDLEY AND STEPHENS., 14 QBD 273 (Queen's Bench Division December 9, 1884).

Trepanier, L. (2018). *The Socratic Method Today Student-Centered and Transformative Teaching in Political Science.* New York: Taylor & Francis Group.